არჩილ მეტრეველი

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება

წიგნი II

კოლექტიური და ინსტიტუციური ასპექტები

2022

ავტორისგან:

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს მეორე ნაწილს. სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი - *რელიგიისა და რწმენის თავისუფლება / წიგნი I / ზოგადი და ინდივიდუალური ასპექტები*, გამოქვეყნდა 2019 წელს („საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა“).

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ერთიანი სფერო, მოიცავს სხვადასხვა ზოგად, ინდივიდუალურ, კოლექტიურ და ინსტიტუციურ ასპექტს, უფლებას, თავისუფლებასა და სამართლებრივ ურთიერთობას, რომელთა სუბიექტებიც არიან კერძო პირები, რელიგიური ან სხვა სახის მრწამსის მქონე ჯგუფები და სახელმწიფო. წარმოდგენილი ორტომეული შედგენილია ამ უფლებასთან დაკავშირებული ძირითადი საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი აქტების, საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკისა და შესაბამისი საერთაშორისო საექსპერტო და პოლიტიკური დოკუმენტების საფუძველზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო უშუალოდ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების კოლექტიურ და ინსტიტუციურ ასპექტებს ეთმობა, რაც თითოეული ამ ასპექტისა და მათში შემავალი საკითხების მოცულობიდან და სწავლების მეთოდოლოგიიდან გამომდინარეობს. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ზოგადი და ინდივიდუალური ასპექტები წარმოდგენილია სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში. ორტომეულის მიზანია სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის სათანადო ცოდნის გაზიარება რელიგიისა და რწმენის თავისუფლების სრული სფეროს შესახებ.

ასოც. პროფ. არჩილ მეტრეველი

რეცენზენტი - პროფესორი ზვიად გაბისონია
რედაქტორი - გრიგოლ კალანდაძე
დიზაინერი - მარი ვერულაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022
საქართველო, თბილისი 0171, კოსტავას ქ. 77
ტელ.: 032 2 55 22 22

© არჩილ მეტრეველი, 2022

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმით ან საშუალებით, არ შეიძლება გამოყენებული იქნას ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ISBN 978-9941-9708-6-3

სარჩევი

პირველი ნაწილი 7

თავი I. რელიგიის ან რწმენის ნიშნით გაერთიანების უფლება 8

1. რელიგიისა და რწმენის კოლექტიური გამოხატვის უფლება 8
2. რელიგიური თემის ძირითადი კოლექტიური უფლებები და ინტერესები 13
3. კონვენციის ორგანოების პრაქტიკა 23

თავი II. რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი სტატუსი 39

1. იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის მნიშვნელობა. 39
2. სახელმწიფოსა და რელიგიურ თემებს შორის ურთიერთობათა სისტემები . . 44
3. იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის მოპოვება და გაუქმება 48
4. კონვენციის ორგანოების პრაქტიკა 56

თავი III. რელიგიური გაერთიანების ავტონომიურობა 70

1. რელიგიური გაერთიანების ავტონომიურობის ზოგადი ასპექტები 70
2. რელიგიური გაერთიანების თვითორგანიზების უფლება 76
3. რელიგიური გაერთიანება და მისი წევრები. 79
4. რელიგიური გაერთიანება და მისი დასაქმებულები. 82
5. კონვენციის ორგანოების პრაქტიკა 86

თავი IV. რელიგიური გაერთიანების ფინანსები და ქონება 109

1. ზოგადი საკითხები. 109
2. რელიგიური გაერთიანების ფინანსები და საგადასახადო შეღავათები 112
3. რელიგიური გაერთიანების საკუთრების უფლება და ქონებრივი გარანტიები 124
4. კონვენციის ორგანოების პრაქტიკა 130

მეორე ნაწილი 147

თავი V. რელიგიური გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ჩამოყალიბება 148

1. რელიგიური გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ჩამოყალიბების ისტორია 148
2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის პრობლემა. 160
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა 164

თავი VI. 2003 წლის კანონპროექტი „სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ“ 177

1. სპეციალური კანონის ინიციატივა 177
2. კანონპროექტი. 183
3. ვენეციის კომისიის მოსაზრება. 198

თავი VII. კონსტიტუციური შეთანხმების პროექტი საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 206

1. კონსტიტუციური შეთანხმების ინიციატივა. 206
2. კონსტიტუციური შეთანხმების პროექტი 212
3. ექსპერტთა შეფასებები 218

თავი VIII. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 254

1. კონსტიტუციური შეთანხმების ტექსტი 254
2. კონსტიტუციური შეთანხმების სამართლებრივი ბუნება და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივი სტატუსი 263
3. კონსტიტუციური შეთანხმების ცალკეული ნორმები. 281
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. 306

თავი IX. რელიგიური გაერთიანების რეგისტრაცია 313

1. ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო 313
2. რელიგიური გაერთიანების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირების პირობები 320
3. რელიგიური გაერთიანების რეგისტრირების წესი 329
4. საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა 341

თავი X. რელიგიური გაერთიანების საქმიანობის ფინანსური ასპექტები და საგადასახადო რეგულაციები 347

1. ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო 347
2. კოლექტიური რელიგიური საქმიანობის ფინანსური ასპექტები 351
3. კოლექტიური რელიგიური საქმიანობის საგადასახადო ასპექტები 364
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა 369

თავი XI. რელიგიური გაერთიანების საქმიანობის ქონებრივი ასპექტები და საკუთრების უფლება 384

1. ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო 384
2. საბჭოთა პერიოდში რელიგიური გაერთიანებებისთვის ჩამორთმეული ქონების რესტიტუცია 394
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა 398

ბიბლიოგრაფია 417

პირველი ნაწილი

ზოგადი საერთაშორისო სტანდარტები

რელიგიის ან რწმენის ნიშნით გაერთიანების უფლება

რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი სტატუსი

რელიგიური გაერთიანების ავტონომიურობა

რელიგიური გაერთიანების ფინანსები და ქონება

თავი I. რელიგიის ან რწმენის ნიშნით გაერთიანების უფლება

რელიგიისა და რწმენის კოლექტიური გამოხატვის უფლება; რელიგიური თემის ძირითადი კოლექტიური უფლებები და ინტერესები; კონვენციის ორგანოების პრაქტიკა.

1. რელიგიისა და რწმენის კოლექტიური გამოხატვის უფლება

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება აერთიანებს ორ - *ინდივიდუალურ* და *კოლექტიურ,* განზომილებას. რელიგიური მრწამსის მიღების, ქონის, შეცვლის ან მასზე უარის თქმის თავისუფლება და პირადი რელიგიური მრწამსის გაუცხადებლობის უფლება, ასევე, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობისა და რელიგიური პრაქტიკის არ ქონის უფლება, არსებითად ინდივიდუალური ბუნებისაა, ხოლო, რელიგიისა და რწმენის ღვთისმსახურებით, სწავლებით, პრაქტიკითა და რიტუალების აღსრულებით გამოხატვის თავისუფლება შესაძლოა განხორციელდეს, როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური ფორმით. სხვა სიტყვებით, ნებისმიერი პირი თავისუფალია საკუთარი რელიგია ან რწმენა გამოხატოს არა მხოლოდ მარტომ, არამედ ასევე, სხვებთან ერთად, იმ პირთა წრეში, ვინც ერთსა და იმავე მრწამსს იზიარებს. რელიგიისა და რწმენის კოლექტიური გამოხატვის უფლება გარანტირებულია:

> **ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) მე-9 (1) მუხლით:** „ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და პირის თავისუფლებას, როგორც მარტომ, ასევე სხვებთან ერთად, საჯაროდ ან განკერძოებით, გამოხატოს თავისი რელიგია ან რწმენა ღვთისმსახურებით, სწავლებით, პრაქტიკითა და რიტუალების აღსრულებით.“

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (შემდგომში „პაქტი“) მე-18 (1) მუხლით: „ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას ჰქონდეს ან მიიღოს რელიგია ან რწმენა საკუთარი არჩევნით და თავისუფლებას გამოხატოს თავის რელიგია ან რწმენა, როგორც ინდივიდუალურად, ასევე სხვებთან ერთად, საჯაროდ ან განკერძოებით ღვთისმსახურებით, რიტუალების აღსრულებით, პრაქტიკითა და სწავლებით.“

უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიური რწმენის ქონა და მისი გამოხატვა საწყისი მნიშვნელობით, არსებითად სუბიექტური ფენომენებია, რაც მომდინარეობს ადამიანის უპირობო უფლებიდან - თავისუფლად შეარჩიოს და მიიღოს მისთვის სასურველი მრწამსი და დაუბრკოლებლად, თვითნებური და უკანონო ჩარევის გარეშე, შეასრულოს შესაბამისი პრაქტიკა. მეორე მხრივ, რელიგიურ მოძღვრებათა უმეტესობა პირდაპირ ითვალისწინებს მორწმუნეთა მიერ ღვთისმსახურების, რიტუალებისა და სხვადასხვა სახის პრაქტიკის ერთობლივად შესრულების ვალდებულებას. მიუხედავად ამისა, ასეთი ვალდებულების პირობებშიც კი, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება პირველად ინდივიდუალურ განზომილებას სრულად არ კარგავს, რადგან კოლექტიურ რელიგიურ პრაქტიკებში ნებისმიერი პირი მაინც პირადი სუბიექტური და თავისუფალი გადაწყვეტილებით მონაწილეობს. შესაბამისად, რელიგიური თემის კოლექტიური ინტერესები არა სრულიად დამოუკიდებელ კატეგორიას, არამედ, არსებითად სწორედ მისი წევრების ინდივიდუალური ინტერესების ერთობლიობას წარმოადგენს.

ამდენად, პირადი რელიგიური მრწამსის გამოხატვა ინდივიდუალური, კოლექტიური ან ერთდროულად ორივე ფორმით გამომდინარეობს ადამიანის თავისუფალი არჩევანიდან და შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია საკანონმდებლო და პრაქტიკის დონეზე ერთდროულად და თანაბრად უზრუნველყოს, როგორც ამ ფორმათაგან ერთ-ერთით, ასევე, ორივე მათგანით სრულფასოვნად სარგებლობის უფლება:

„საკუთარი რელიგიის „სხვებთან ერთად“ გამოხატვის უფლება ყოველთვის მიიჩნეოდა რელიგიის თავისუფლების არსებით ნაწილად და კონვენციის მე-9 (1) მუხლში მოცემული ალტერნატივა - „როგორც მარტო, ასევე, სხვებთან ერთად“ - არ შეიძლება განხილულ იქნას ერთმანეთის გამომრიცხავად ან ხელისუფლე-

> ბისთვის არჩევანის უფლების მინიჭებად, არამედ, მიჩნეული უნდა იქნას იმის აღიარებად, რომ რელიგია შეიძლება გამოხატულ იქნას ორივე ფორმით."[1]

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ინდივიდუალური და კოლექტიური განზომილებების კავშირს ფუნდამენტურ მნიშვნელობას ანიჭებს, არის პირადი მრწამსის პერსონალური გამოხატვის ის პირობები, რომლებიც მხოლოდ კოლექტიური უფლებების რეალიზების შემთხვევაში შეიძლება დაკმაყოფილდეს. მაგალითად, ტაძარში ლოცვის ან წმინდა ადგილებზე პილიგრიმობის ინდივიდუალური უფლებით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ ასეთი საღვთისმსახურო შენობებისა და ადგილების არსებობის პირობებში, ხოლო მათი შექმნისა და საკუთრების უფლება, როგორც წესი, რელიგიურ თემს ან გაერთიანებას აქვს და არა კერძო პირს. შესაბამისად, რელიგიისა და რწმენის კოლექტიურად გამოხატვის უფლების უზრუნველყოფა აუცილებელია არა მხოლოდ საკუთრივ ამ თავისუფლების კოლექტიური განზომილებით, არამედ ასევე რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით დაცული რიგი ინდივიდუალური უფლებებით სარგებლობისთვის:

> „კონვენციის მე-9 მუხლი, პრინციპში, იცავს რელიგიური ღვთისმსახურებისთვის განკუთვნილი ადგილებისა და შენობების შექმნის, დაარსებისა და შენარჩუნების უფლებას. შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევებში, რელიგიური დანიშნულების შენობებით სარგებლობამ შესაძლოა გავლენა იქონიოს რელიგიური ჯგუფის წევრების მიერ რელიგიური მრწამსის გამოხატვის უფლებით სარგებლობაზე."[2]

ზოგადად, კოლექტიური განზომილება შეიძლება ჰქონდეს რელიგიისა და რწმენის გამოხატვის ოთხივე კლასიკურ ფორმას - ღვთისმსახურებას, სწავლებას, პრაქტიკასა და რიტუალების აღსრულებას. თვალსაჩინოების მიზნით ქვემოთ აღწერილი იქნება რამდენიმე მაგალითი, რომელიც წარმოაჩენს, მაგრამ არ ამოწურავს, რელიგიისა და რწმენის კოლექტიური გამოხატვის ფორმებს:

- ღვთისმსახურების კოლექტიური ფორმაა მაგალითად, რელიგიური თემის მიერ ღვთისმსახურების ერთობლივი აღსრულების მიზნით შეკრება, ასევე, შესაბამისი ადგილების შექმნა და ფლობა;

---

1 X. v. the UNITED KINGDOM (8160/78. 12/03/1981). გვ: 34. § 5.

2 Guide on Article 9 of the Convention – Freedom of thought, conscience and religion. European Court of Human Rights. Updated on 30 April 2020. § 121.